

F 10309
3



10. 309
3

სტ. 4. VI. 4.



ვ. რუხაძე.



253

ზღაპრები
და ბრბებები

გამოცემა ტუტკუ გვარამიასი № 4

ფასი 20 კაპ.



ქუთაისი
სტამბა ქართ. შორ. წ.-ს. გამაერტ. საზოგად.
1916 წ.

199.482.1




ვ. რუხაძე

წიგნაკრები
და არაკრები

F 10,309
3

ვაშლიძე ტუტაშვილი გვარამიაძე № 4

ფანი 20 კაპ.



ქ. ქუთაისი
ქ. შ.-წ.-კ. გამ. საზოგადოების სტამბა
1916



მდიდარი და მინახშირი.

(ზღაპარი)

1.

იყო ერთი მდიდარი,
მაგრამ ძუნწი გულითა,
გროშს გროშზე აწებებდა,
ვერ ძღებოდა ფულითა.
ოქრო-ვერცხლის მთა ედგა,
ეპყრა დაბა-სოფლები;
მაგრამ მაინც ცდილობდა —
გაეცარცვა ობლები.
სხვის სუფრაზე თუ იჯდა,
ქეიფობდა გულითა;
შინ კი კმაყოფილობდა
მხოლოდ შავი პურითა.

2.

ერთხელ იგი ბაზარში
გამოვიდა დილითა,
ნახა სავსე ღუქნები
სანოვაგით, ხილითა.
ხან ამას შეევაკრა,
ხან იმას ჩაუხველა,
მაგრამ ხმაც არვინ გასცა,
რადგან იცნობდა ყველა.
ეწყინა. გულნატკენი
შეირხა, აიწურა,
მაგრამ რაღას იზამდა?
ისევ სახლს მიაშურა.



3.

წინ შემოხვდა მეთევზე
 ხელში ცოცხალ თევზებით;
 პირში ნერწყვი მოადგა,
 ჰკითხა სულის კვეთებით:
 „როგორ ყიდი მაგ თევზებს,
 რამდენ უზალთუნათო?
 — ერთ მანეთად მოგართმევ,
 თუ წაიღებ სრულათო.
 — რას ამბობ, ძმაგ!?. ძვირია...
 ამოდენა ფულითო
 მთელ დღეს გავატარებდი
 წეიფ-კრიმანჭულითო.

4.

ამდროს თავს წამოადგათ
 მენახშირე ომარა¹⁾,
 ზურგზე წამოეკიდა
 მას ნახშირის ტომარა.
 არც კი შევაჭრებია,
 ხვლთ ჩაუდო აბაზი.
 „ხომ კი გაგიგონია,
 უთხრა, პეტრე ხაბაზი?
 მის გვერდით მქედელია,
 ბარ-სახნისის მქნელიო,
 ალბათ გენახულება,
 ჯმუხა კაცი, სქელიო?—
 ამ ნახშირს მას მიუტან,
 გამოვართმევ ხვედრ ფულსო
 და დანარჩენსაც მოგცემ,
 არ დაგწყვეტავ მით გულსო“.

¹⁾ სახელია კაცის.



და წავიდენ... მათ უკან
 გაჰყა ჩვენი მდიდარი,
 თან თავს ეკითხებოდა:
 „ცხადია თუ სიზმარი?!
 მენახშირე ტკბილ პურს ჭამს,
 მე რა ცოდვა მეწია?“
 და, ამფიქრით მოცული,
 ომარს წამოეწია.
 უთხრა: „ერთ რამესა ვთხოვ,
 მოდი ამისრულეო,
 შემდეგ შენს პატივმცემელ
 მოყვრათ მეც მიგულეო:
 სადილათ დამპატიე,
 რომ ვიხილო თვალითო—
 რა ავლა-დიდება გაქვს,
 ცხოვრობ რისი ძალითო.
 —ბატონი ხარ... მობრძანდი!
 ჩემი სახლის კარიო,
 ვინც მიკადრებს, მეწვევა,
 მარად ღია არიო.“
 წაიყვანა. გულუხვათ
 უმასპინძლა, ახარა:
 სილარიბის უფსკრული
 პურადობით დაჰფარა.

5.

ზის და ხედავს მდიდარი
 ქოხს უბრალოს, წახრილსა,
 ფარღალაღა კედლებსა,
 სვეტებს შვაზე გახრილსა;
 ცალიერ ტახტს, ძველ ფარდავს,
 ფეხშიშველა ბალღებსა,
 მაგრამ გულმხიარულებს,



დარდის თან არ წამღებსა...
ხედავს და ძალზე უკვირს:
„რატომ ხდება ასეო:
დარიბი—მხიარულობს,
მე—ჯავრით ვარ სავსეო?!“
იმას კი ვერ მიმხდარა
მისი ჭკუა-გონება,
რომ მიზეზი ამისი—
არის ოქროს მონება.

6.

როცა გამოეთხოვა,
უთხრა: „მეგობაროო,
ყური მიგდე, მწადია
რამე დაგიბაროო:
ხვალ სადილათ მეწვიე,
ერთად ვქამოთ პურიო,
თუ გინდა, რომ არ დარჩე
ბედის უმადურიო.“
და წავიდა, ნახულით
მეტათ გაკვირვებული.
თავში უტრიალებდა!
აზრი ახირებული:
„სილარიბე, სიმდიდრე
სულ სხვადასხვა ხილია,
კაცის ბედნიერება
რომელ მათგანს ჰკილია?!“

7.

მეორე დღეს ომარა
— მიადგა მდიდრის კარსა —
კრძალვით და მორიდებით
ჩამოჰკრა ნელა ზარსა.

მიიღო მეგობრულათ
 უმასპინძლა გულითა,
 პური პურათ აქამა,
 ღვინოც ასეა კულითა...
 და, როცა გადიხარა,
 საღამომ მოატანა,
 ერთი ტოვისიკა¹⁾ ოქროც
 თანვე გამოატანა.

8.

შინ მივიდა სირბილით,
 ეს თავის ცოლს ახარა;
 მანც დაუდგა ბათმანი²⁾
 და ოქრო შიგ ჩაყარა.
 ორი თითი დააკლდა,
 პირამდე არ აივსო:
 იმ დღის შემდეგ მათ გულში
 შვების ცეცხლი დაივსო.
 სთქვეს: „თავამდე მოვყაროთ,
 ნუ დავტოვებთ ნაკლულსო,
 რომ გულს ქექკათ არ ქონდეს,
 სიღარიბით ჩაგრულსო“.
 მუშაობდენ... სულისთვის
 ვერაფერს იმეტებდენ,
 გროშს გროშზე აწებებდენ
 და იმას უმატებდენ.
 ცარცვა-გლეჯის სურვილიც
 ნელნელ შემოეპარათ:
 მუდამ იმას ფიქრობდენ—
 ვისთვის რა მოეპარათ.

¹⁾ ტოვისიკას იმერეთში პატარა ტომარს
 ეძახიან.

²⁾ სიმინდის სარწყავია.



და ამგვარათ დღე ღამეს
და ღამე დღეს მისდევდა,—
ის კი არ იესებოდა,
თითქო დაბლა იწევდა.
ითმინა მენახშირემ,
ბოლოს ვერ აიტანა,—
დაავლო ოქროს ხელი,
ძველ პატრონს მიუტანა.
უთხრა: „რა შინ წავიღე
ეს ლითონი, კრულიო,
შემდეგ სიხარბის გველმა
გამომიხრა გულიო.“
და გაშორდა... ნახშირით
მოიკიდა ტომარა
და ისევ ძველ ცხოვრებას
დაუბრუნდა ომარა.

გაუგამლარი.

-(ზღაპარი).

ერთხელ, მათხოვრათ
გადაქცეული,
ვიდოდა ქრისტე
მარტო, ეული.
გზათ მოეწია
სოფლის მოძღვარსა,
ჩაკურბტებულს,
მორგვივით რგვალსა.
სალამი მისცა;
უთხრა: „მამაო,
გაკურთხოს ქვეყნათ
მადლით ცამაო!

უცხო კაცი ვარ,
 შორით მსვლელიო,
 არც თვალი მიჭრის,
 არცა ხელიო;
 ნაჩუქარი მაქვს
 სამი კვერიო,
 მაგრამ შენახვა
 ვერ შევძელიო;
 გთხოვ, ამ აბგაში
 ჩამილაგოო,
 მაგრამ არც ერთი
 დამიკარგოო“.

დასთანხმდა მღვდელი
 დიდი ხალისით,
 (სულ სხვა განზრახვით,
 არ საკადრისით):
 ორი ჩაუღო
 იქვე აბგაში,
 ხოლო — მესამე
 იკრა კალთაში.
 და გზას გაუდგენ...
 მიდიან ნელა,
 გლახა მოხუცი,
 მღვდელი წვერ გრძელა.
 მიადგენ წყაროს,
 ჩუბჩუხას, გრილსა,
 კორდს ამწვანებულს,
 ხავერდათ შლილსა.
 უთხრა გლახაკმა:
 ღირსო მამაო!
 მოდი დავნაყრდეთ,
 თუ ვსურს კამაო.“



დასხდენ. გლახაკმა
 როდესაც ნახა,
 კვერთ ერთი აკლდა,
 მკვახეთ შესძახა:
 „განა შეშვენის
 ქურდობა მღვდელსო,
 ქრისტეს მოციქულს,
 სიწმინდის მცველსო?!“
 გაფითრდა მღვდელი,
 დაეტყო წყენა:
 ფიციტ ქრისტე ძირს,
 ჩამოასვენა
 და დაარწმუნა:
 უბრალოა ის,
 კვერის შესაბებ
 მან არა იცის.
 რაღას იზამდა?
 დამშვიდდა გლახა:
 რასაც ფიქრობდა,
 გულს დაიმარხა.
 კვლავ გზას გაუდგენ...
 მიდიან ნელა,
 გლახა მოხუცი,
 მღვდელი წვერ გრძელა.
 და უცბათ გზაზე
 ხაზინა ნახეს:
 გაეყოთ იქვე
 მათ განიზრახეს.
 სთქვა მღვდელმა: „მსჯავრი
 სწორეთ დაედოთო:
 ნაპოვნი განძი
 შუა გავეყოთ.“



გლაბამ მიუგო:
„ვერე არაო:
ვინაც ის კვერი
მოიპარაო,—
იმასაც ვარგოთ
ერთი წილიო
და ავაცილოთ
გასაჭირიო.
აღბათ შიმშილი
უკლავდა გულსო,
თორემ ქურდობას
ვით იქმდა, კრულსო!?“
მღვდელს გაეხარდა,
ასწია კაბა:
„მე მოვიპარე
ის კვერი აბა!“
სთქვა და ტომარას
ჩასკიდა ხელი,
ისე, ვით კრავსა
მშიერი მგელი.
გლაბაკმა მწარეთ
გადიხარხარა:
რასაც ფიქრობდა,
ველარ დაჭყარა.
უთხრა: „ჰა, ყველა
იყოს შენიო:
მაგრამ ვერ გაძლე
შენი ღღენიო!“
და წამსვე გაჰქრა,
გაუჩინარდა,
სიწმინდე ცისა,
ცასვე მიფარდა.



მას აქეთია
ვერ ძლება მღვდელი:
გამოწვდილი აქვს
ორივე ხელი!

მეფე და გლეხი.

(ზღაპარი)

1.

ადრე, ძველ დროში, მაშინ, როდესაც
მონის უღელს ქვეშ ქედს ხრიდა ხალხი
და გაისმოდა კილით-კიდემდე
წამებულთ კენესა, ვაივაგლახი,—
ცხოვრობდა ერთი ღარიბი გლეხი,
ულუკმაპუროთ სული ხდებოდა,
თუმც წელს იწყვეტდა, შრომის ოფლს
ღვრიდა.

მაგრამ ქვეყანას რას გახვდებოდა?
ერთხელ, როდესაც ქობის წინ იჯდა,
შავი ფიქრებით გარემოცული,
მივიდა მასთან შვილი და უთხრა:
„მამაე! გამხნევი, ნუ გიწუხს გული.
მოდრი გამყიდე... მაგრამ იცოდე
არ დამთმო მუქთად, ფასათ ჩაღისა,
ხომ იცი კარგათ, რომ ცნობა ვიცი:
კაცის, ცხენის და ძვირფას-თვალისა.“
დასთანხმდა მამაც და წაიყვანა,
ჩამოატარა მთელი ბაზარი,—
„ვის გინდა კაცი ღიადი მცოდნე!“—
ყვიროდა იგი, როგორც ვაქარი.
იქ სწორეთ ამდროს თავის ამალით
დასეირნობდა მეფე სვიანი



და იმის ყვირილს რა მოჰკრა ყური,
 მოიხმო, უთხრა: თუ ხარ ჰკვიანი,
 სწორეთ მითხარი, ნუ დამიფარავ,
 რომ არ დაგატყდეს ჩემი რისხვა თავს:
 რა იცის მართლა მაგ შენმა შვილმა?
 რით განირჩევა? რით სჯობია სხვას?“
 აუხსნა გლეხმაც. იყიდა მეფემ
 იმ განზრახვით, რომ გამოეცადა:
 ჰეშმარიტება ჯერ არ ნახული
 თვალით ენახა—გულით ეწადა.
 შინ წაიყვანა, გადასცა ხაბაზს,
 თან დაავალა, რომ ეგდო ყური
 და ყოველ დღლით, თავთავის დროზე,
 ეძლია მისთვის მას თითო პური.

2

ერთხელ მოიხმო მეფემ და უთხრა:
 „აბა მიჩვენე უნარი შენი:
 ჩემ ცხენთა ჯოგში ამომირჩიე
 საუკეთესო საჯდომი ცხენი.“
 იმანაც მყისვე იქვე მდგომ ჯოგსა
 მიაველ-მოაველო მუშორისა თვალი
 და აარჩია ბედაურებში
 ყველაზე უფრო მკლე და ართვალი.
 უთხრა: „ბატონო, ყველას ესა სჯობს,
 ერთიც არაა ამის ბადალი:
 არც შორი გზითა მოიქანცება,
 ვერც შეაყენებს კლდე, ღრე და წყალი“.
 გაკვირდა მეფე. ექვით შეხედა.
 თან გულიანათ გადიხარხარა.
 უთხრა: „ჰე, კაცო, შენ ვილაცა ხარ
 ან სულელი ხარ და ან მასხარა“.
 და შემდეგ თვითონ ამოირჩია



ერთი მერანი. კვერცხივით რგვალი.
გლებმა კვლავ კადრა: „ბატონო, მეფევე
მე მიინც ვიტყვი: გატყვილებს თვალი.
ის ცხენი, თქვენ რომ ამოირჩიეთ,
გამოზრდილია კამეჩის რძითა
და როგორც ნახავს წყალს, შიგ ჩაწვება,
რადგან სავსეა მისივე ზნითა...“
მაგრამ ეს მეფემ არ დაიჯერა,
თავის მხრით გლებმაც არ დაუთმო მას:
ბოლოს, სიმართლის დასამტკიცებლათ,
მოასხდენ ცხენებს და გაუდგენ გზას.
აეღეს აღმართი, ჩავლეს დაღმართი,
რვა მთა, რვა ბარი გადაიარეს,
მეცხრე მთის ძირში ფონათ გაშლილსა
მიადგენ ერთ დიდ და მალ მდინარეს.
ქაფათ ქცეულმა მეფის მერანმა,
რა ნაბა წყალი, გულს იგრძნო შეება:
შიგ ჩაწვა მყისვე და ჩენი მეფე
ზვირთებს გადასცა და მიანება;
და ის-ის იყო დაიხრჩვებოდა,
შიგ ჩაიხვევდა მორევი ბნელი,
მაგრამ მიუსწრო გლებმა და იხსნა,
არ დაიშურა შრომა გულწრფელი.
მეფემაც ერთგულ სამსახურისთვის
დიდი მადლობა გადაუხადა,
ჯილდოთ აღუთქვა მეორე პურიც,
მოვალეობა მით მოიხადა.

3.

გავიდა ხანი. ერთხელ ვაქარმა
ჩამოატარა ძვირფასი-თვალი
და შესთავაზა მეფეს. იმასაც
მოეწონა და ზედ დარჩა თვალი.



ჰკითხა: „რა მოგცე?“ მიუგო: „მეფეც!
ბერს არ მოვითხოვ თქვენგან სასუიდელს:
რასაც ეს თვალი კი აიწონის,
მხოლოდ ავიღებ მე ოქროს იმდენს.“
დასთანხმდა მეფეც. დასდევს სასწორზე.
აყრიან ოქროს—არ იწონება.
დაცალიერდა თითქმის საღარო,
უყურებს მეფე და ბრაზით სკდება.
რა ქნას, არ იცის... და ამ დროს გლეხი
კვლავ მოაგონდა, თავისი მხსნელი,
მოიხმო; ისიც მოვიდა წამსვე,
და რა შეახო ძვირფას—თვალს ხელი,
იქნო, სთქვა: „ეს ხომ კაცის თვალია?!“
და დააყარა მიწის ნაფჩხვენი:
მყისვე დასწონა... და გაკოტრებას
გადაარჩინა მით მეფე ჩვენი.
იამა მეფეს. მადლობა უთხრა
კვლად ამ ერთგულ სამსახურისთვის
და დაავალა თავის ხაბაზსა:
მესამე პურიც ეძლია მისთვის.

4.

კვლავ განვლო ხანმა. მეფემ ნადიმი
გამართა დიდი, უხვი, ძვირფასი;
ხელიდან ხელში გადადიოდა
ყანწ-აზარფაშა და ოქროს თასი;
ფროა გაეშალა ლხინის ღმერთს მძლავრათ,
მხიარულება ცასა სწვდებოდა;
საკრავთა ტკბილ ხმებს, გრძნობათა ზღვაში.
სულიც და გულიც თან მიჰყვებოდა,
და ამ დროს მეფემ ჩვენს ნაცნობ გლეხსა
სახაბაზოდან გამოუძახა,
უბრძანა: „აბა ახლა მითხარი,



აქ მყოფთა შორის ვინ არის გლახა? —
 მაგრამ ეს გლახმა შორს დაიჭირა,
 რადგანაც ჰქონდა სიკვდილის შიში.
 მეფე კი მაინც არ ეშვებოდა...
 რა ექნა ბეჩავს? ჩავარდა ფიქრში.
 და გადასწყვიტა ბოლოს, რომ ეთქვა,
 მაგრამ მოსთხოვა სიტყვა მეფური:
 სიმართლის თქმისთვის არ დაესაჯა
 და მოესმინა დამშვიდებული.
 როცა მიიღო, გაიხმო განზე
 და საიდუმლოთ უთხრა მას ყურში:
 „ყველაზე გლახა თვითონ ხარ, მეფევე,
 ან რა იქნები ხაბაზის ბუში!“
 განრისხდა მეფე, მაგრამ რა ექნა,
 ველარ გატეხა სიტყვა აღთქმული,
 მხოლოდ მიიჭრა დედასთან, ხმლითა
 შესძახა: „უნდა გაგოპო გული!
 მითხარი ჩქარა, ვისი შვილი ვარ?!“
 დედაც გამოტყდა, ველარ დაფიცა
 და გლახის სიტყვა მეფეზე თქმული
 დაადასტურა და დაამტკიცა.
 დაღონდა მეფე გაწბილებული,
 შემოესია ფიქრები შავი...
 მოიხმო გლახი და გამოკითხა,
 სიდგან იცოდა მან ეს ამბავი.
 მიუგო: „მეფევე, „კვიცი ჯიშზე ჰბტის“,
 ეს ანდაზა შენც გაგეგონება:
 იმით ბევრს რასმე საგულისხმოსა
 მოგვითხრობს მამათ ბრძენი გონება.
 მეც, მის თანახმათ, შენი ბუშობა
 მით დავასკვნენი გულის სიღრმეში,



რომ ჯილდოთ ერთგულ სამსახურისა,
მხოლოდ სამ პურსა მადლვედი დღეში!“

გ მ ი რ ი.

(ზღაპარი)

(ძღვანთ ცრუ მამულის შეილებს).

იყო და არა იყო რა,
იყო ერთი გმირი,
მამულისთვის თავდადებულს
ხელში ეპყრა სტვარი.

ტყე და ღრეში დაბორგავდა,
გოდებდა და ჰკენესდა,
მოზღვავებულ სევდა-ვარამს
ცრემლთა ტბაში ლესდა...

ერთხელ თვალთ ცრემლ მონადენმა,
შწარეთ დაღრეჯილმა,
შშობელ მიწას შეღალადა,
ვით ერთგულმა შეილმა:

„დედავ! დედავ! შენს წიაღში
მიიღე ეს გული,
რომ იქ მაინც დავიამო
იარა და წყლული“.

ხმა მოესმა: „შვილო, ცრემლმა
შემიხუთა სული...“

იცი ახლა შე ვინ მინდა?—
ბრძოლის მოციქული!“

ეს რა ესმა, შეკრთა გმირი,
უფრო დაიღრიჯა
და ბუტბუტით გზას გაუდგა,
ქუდი მოიგლიჯა.

F10.309
3





სთქვა: „სიყვარულს მარადიულს
დავეძებ მე მხოლოთ,
ეს კი ბრძოლას, თავგანწირვას
ითხოვს ხსნის სიმბოლოთ!..“

კვლავ ატირდა... მშობლის სურვილს
აარიდა ყური:
აი თურმე ამას ჰქვია
ქვეყნის სამსახური!

წურბელა და ობობა.

(არაკი).

(ძღვნათ ვ—ს და ა--ს).

ერთხელ წურბელა ობობას
დაუმობილდა სრულადა,

უთხრა: „წავიდეთ იქ სადაც
სისხლი სჩქევს ნაკადულადა.“

ამობობენ: ჭუჭყიანეთში

არის ასეთი მხარეო,

ვინც იქ მიაწევს, გაქრება.

მისთვის ცხოვრება მწარეო“.

მან უბასუხა: „ძმობილო,

ეს მართალია, მარაო

ტკბილ ცხოვრებისთვის მკდრის ცივი
სისხლი-ლა განა კმარაო? —

ამისთვის საჭირო არის,

რომ თფილი სისხლი ვწოვოთო.

— მერე სად უნდა ვიშოვოთ

და როგორ მოვიპოვოთო?

— უნ არხეინათ იყავი.

ეს ჩემს კისერზე იყოსო,



ოლონდ ფეხის ხმას არ აყვე,
არავინ გაგაბრიყვოსო:
მე ისეთ ქსელებს გავაბამ,
ვერ აცდეს ერთი მწერიო;
შენ იქვე გაინაბები,
როგორც ყანაში მწყერიო;
რა გაებმება, ეცემი,
სისხლს გამოწუნნი თფილათო,
მაგრამ თან, რომ არ გამექცეს,
კი უნდა იყო ფრთხილათო“.
და თანვე საქმეს შეუდგა:
გააბა ქსელი ქსელზედა.
წურბელაც ტბის პირს აფოფხდა
და გაინაბა გვერდზედა.

დრო გადის წუთით წუთამდე.
ებმება ბუზი, პეპელა...
წურბელა გახარებულა
სწოვს და სწოვს თფილ სისხლს ნელნელა.
ისე გასუქდა, გაკეთდა,
ველარ ცნობს ძველათ მნახველი...
თავიც კი მოაქვს უბადრუკს,
ვით დიდ საქმეზე მზრახველი!
და ეუბნება ობობას:
„ნუ ჩამომართმევ კვეხნათო:
მე და შენ, ვიტყვი თამამათ,
ტოლი არვინ გყავს ქვეყნათო!“
ისიც თავს უქნევს ცფიერათ:
„ვიშ, რა კილოზე მღერიო!“
გულში კი ფიქრობს: „დაიცა,
შენზეც მოდგება ჯერიო.“



დაზამთრდა, დაბა-სოფლებსა
ეწვია ზამთრის ფერია,
მთა თეთრათ მოაგვირისტა,
ტყე-ველს უცვალა ფერია!
სალკლდეებს ყელზე დაჰკიდა
წვერმახვი ბროლის შუბები...
და სიცივისგან მთლად გაწყდა
პეპელები და ბუხები.
ობობამ უთხრა წურბელას:
„ძმობილო გამიგონეო:
ახლა კი ჭუჭყიანეთი
არის-ლა ჩვენი ღონეო.
მოდი წავიდეთ“... და თანვე
ნელა გაუძღვა იქითა,
სადაც მას ქსელი გაება,
წინათ განზრახულ ფიქრითა.
გაება ჩვენი წურბელა
და გაიხლართა მახეში:
თუ უმუხთლებდა ძმობილი —
ეს არ ქონია სახეში.
ობობამ წუწნა დაუწყო,
ყელში ჩაარქო ნესტარი.
ხედავს წურბელა: წამწარდა,
რაც სვა ცხოვრების ნექტარი.
და დაიგრიხა სიმწრისგან...
ჰკითხა: „რას შუები ამასო?
შენ, ძმავ, ყაჩალი ყოფილხარ,
ჰგავდი კი „სულის მამასო“!
ობობამ ასე მიუგო:
„როდესაც სხვის სისხლს სვამდიო,
ერთი მითხარი გეთაყვა,
ამ საკითხს რათ არ სვამდიო??.“

და ტკბილათ გადიხარხარა
 და გამოსუტა წურბელა:
 ავი ყველასთან ავია—
 დამეთანხმება სუყველა.

ლომი და არწივი.

(არაკი)

ლომი, დაბმული ჯაჭვითა,
 თავისუფლებას ნატრობდა:
 თან ქვითინებდა, მდულარე
 კრემლეზით მიწას ალბობდა.
 მოთქვამდა: „რა რომ მტარვალის
 ხელში ჩაეარდი, მერეო
 სულ მუდამ წვალემაში ვარ,
 ვერარას გაეხდი ჯერეო.
 ოხ, რა მწარეა სიცოცხლე
 სხვის ხელში მონობაშიო:
 სული წუხს, გული ქვითინებს,
 კრემლი არ შრება თვალშიო!“
 ასე მოთქვამდა, ტიროდა,
 ის არ იცოდა კარგათა,
 რომ კრემლი ველარ არგებდა,
 გულს ადულებულს დარდათა.
 მაგრამ მას, ერთ დღეს, არწივმა
 სიმღერით გადაუარა
 და რასაც თვითონ ფიქრობდა,
 გააცნო, გაუზიარა:
 „თავის ხსნისათვის, იცოდე,
 უფარგისია კრემლიო:
 მისთვის ბრძოლაა საჭირო,
 როგორც მქედლისთვის გრდემლიო!“



ეს რა მოესმა, ის მყისვე
 ცეცხლებ აენტო, გავარდა,
 ჯაქვს გაჰკრა მედგრათ, გაგლიჯა,
 მინდორში გაინავარდა.
 სთქვა: „თურმე მარტო ბრძოლაა
 თავისუფლების წყაროო,
 შეგნება--სახელმძღვანელო,
 რომ ძალა მოიხმაროო!“

ყვავი და ბულბული.

(არაკი)

ვიხილე უცხო წალკოტი.
 ზურმუხტი კაბა შევნოდა,
 მოალმასებულ მხარ-ბეჭვზე
 ხუჭუჭი გადმოფენოდა.
 ისე ლამაზათ ებნია
 გულმკერდზე ყვავილთ ღილები,
 ვით ფირუზ ცასა ვარსკვლავნი,
 ოქროს ვარდებით შლილები.

სწვევოდა ნაზი ბულბული,
 ჩანგს აქლერებდა გრძნობითა...
 იმსკვალებოდა ყოველი
 არსი მისდამი ტრფობიდა.

მხოლოდ შეაკაბა ყვანჩალა,
 ძალზე გამძლარი ლეშითა,
 ყურსა უგდებდა, ამბობდა
 სვენებ-სვენებით, ხვნეშითა:

„ჩხავანა ყვავი რომ იყოს,
 არ ეყოლება ბადალი:
 მისი კრიმანკი—გალობა
 იქნება ჰიმნი ახალი.“



მაგრამ ბუღბუღი რაკია,
არც ხმა უფარგა, არც კილო...
და მგალობელი ამ გვარი
როგორ არ უნდა გავკილო?“

ჩაუნისკარტა... გაფრინდა,
მონახა მოძმე ყვანჩალა
და იმის ხოტბა—ქებაში,
რაც სიბრძნე ქონდა დასცალა.

ვსთქვი: „ჩვენი კრიტიკოსებიც
ყვანჩალას ჰგავან ზნეობით:
სხვებს გმობენ... თავისიანებს
აქებენ წლიდან წლეობით!“

ოღონა



მეი და მგოსანი.

პარნასის მთიდან მოსული,
 ხელში ლამაზი ქნარითა,
 მიმოდიოდა მგოსანი
 სავსე ფიქრებით მწარითა.
 გარს ერტყა ლამის წყვდიადი,
 განუქვრეტელი თვალითა,
 მზეს დაეძებდა, იწვოდა
 იმისი ტრფობის ალითა.
 ხან აღმოსავლეთს გასცქერდა,
 ხან დასავლეთის კიდესა,
 მაგრამ ყოველგან ხედავდა
 მხოლოდ სიბნელის რიდესა.
 „მითხარი---ეკითხებოდა
 ცას, მიწას, არემარესა,—
 როდის ვიხილავ ჩემს მნათობს,
 მოკაშკაშ-მოელვარესა?“
 და სწრაფათ გადადიოდა
 კლდით კლდეზე, მთიდან—მთაზედა,
 ხან მწვერვალს მოექცეოდა,
 ხან დაცურავდა ზღვაზედა.
 არ უდრკებოდა განსაცდელს,
 ცეცხლს აკვესებდა თვალითა,
 გულ გატეხილი აწმყოზე,
 კოცხლობდა მომავალითა.

II

ცისკარმა წყვდიადს გულში ჰკრა
 მკვეთრი ისარი სხივისა,




ლაყვარდ სივრცეში ააგო
კოშკი მან ოქროს მძივისა;
ზედ გადმოჰკიდა ალაში
ელვარე აღის ფერადა,
წითლათ დაღება ღრუბლები,
ცა უცხოთ ააფერადა.
სიკოცხლე იგრძნო ბუნებამ...
ტოროლამ ფრთები გაშალა,
თავსა მოეცლო მთა და ბარს,
ფრინველთა ჯარი აშალა
და გადმოსძახა მალლიდან:
„წყვედიადი სულს ლევს, კვდებოა;
იხარე, ჩაგრულთ ქვეყანავ,
შენთვისაც გათენდებოა!“
და ეს ნეტარი ჰანგები
მოედვა ყოველ მხარესა,
ბარმა მალალ მთას გადასცა,
მთამ—ზეცას, მან კი—მთვარესა...
და ახმაურდა მსოფლიო,
რა იგრძნო წამი დიადი,
შესძახა ვაშა „სინათლეს!
ძირს სულის მღრღნელი წყვედიადი!“

III.

გათენდა. მზე შუქ მოსხმული
გადმოდგა მთისა წვერზედა,
გაშალა ოქროს დაღალნი,
ბარს მოახვია ყელზედა.
რა დაინახა მგოსანმა
მსოფლიოს ძალა, შვენება,—
ფრთები შეისხა, გაფრინდა,
მის გულში ჩაკვრა ენება;



მაგრამ, როს მიუახლოვდა,
 მიაპყრო თვალნი მწყაზარი, —
 ლაქა შენიშნა სახეზე,
 შეკრთა, დაეცა თავზარი.
 და დიდხანს გარინდებული,
 დამწვარი სევდის ალითა,
 ერთ აღგილს იდგა უძრავათ,
 სიფრცეს გასცქერდა თვალითა.
 ბოლოს სთქვა: თურმე ამ ქვეყნათ,
 უნაკლო არაფერია:
 მიზანი, სანამ მიაღწევ,
 მანამდე მშვენიერია.
 მხოლოდ ორი რამ ყოფილა.
 ჩვენი სიცოხლის სიმბოლო:
 პირველი—მუდამ ეძიო!
 მეორე—მუდამ იბრძოლო!
 ეს ამკობს თურმე ცხოვრებას,
 ვით ცას ვარსკვლავი ცისკრისა,
 კორდს—ბუჩქნი, წალკოტს—ყვავილნი,
 ლამაზ ქალს—თვალნი გიშრისა;
 არწივს—ღრუბლებში ნავარდი,
 დილის ცვარს—ციმციმ-ციალი,
 ზღვას—ღელვა, მთას—ნისლთ გვირგვინი,
 და მგოსანს—ქნარის წკრიალი.“
 სთქვა და ჩამოკრა სიმებსა,
 აამკვნესარა წყნარათა:
 ლაღადი ქეშმარიტების
 გაისმა მთა და ბარათა.



ვ. რუხაძე



15-

34/27



1917 г.

